



მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 17 ოქტომბერი, 2014 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ტიფლის დეველოპმენტი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ოლეგ შატბერაშვილი - ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის (თანაკოორდინატორი)
2. ნინო ელიზბარაშვილი - საქართველოს ასოციაცია "ქალი და ბიზნესი" (თანაკოორდინატორი)
3. ლევან ცხაკაია - ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"
4. გივი ქოჩორაძე - კვლევების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი
5. ლაშა წიკლაური - ასოციაცია „საზოგადოება განვითარებისთვის“
6. თენგიზ სვანიძე - ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია "საქართველოს ჩაი"
7. პავლე ცაგარეიშვილი - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/ დედამიწის მეგობრები- საქართველო
8. ოთარ გრიგოლია - საქართველოს პროგრესული ფორუმი
9. მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
10. ასლან დევამე - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი
11. ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერგო რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია

განსახილველი საკითხები

- ❖ პრეზენტაცია “კვლევა და ინოვაცია ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ“
- ❖ ინფორმაცია “საერთაშორისო სამეცნიერო/ტექნოლოგიური თანამშრომლობის შესაძლებლობები საქართველოში“
- ❖ „2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ“

შეხვედრა გახსნა ჯგუფის თანაკოორდინატორმა და ძირითადი საკითხების განხილვამდე ისაუბრა შეხვედრებზე ჯგუფის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენელთა დასწრების პრობლემაზე. მან აღნიშნა, რომ ძალიან ცოტა მათგანი ესწრება შეხვედრებს, რაც ხელს უშლის ჯგუფს ეფექტურად წარმართონ სამუშაო პროცესი.

ჯგუფის თანაკოორდინატორმა გააკეთა პრეზენტაცია თემაზე “კვლევა და ინოვაცია ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ“. მოხსენების საფუძველს წარმოადგენდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების თავი, რომელიც ეხება თანამშრომლობას კვლევის, ტექნოლოგიური განვითარებისა და ინოვაციის სფეროში. მან ასევე ისაუბრა ვილნიუსის დეკლარაციის შესახებ. დოკუმენტის მთავარი გზავნილია, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობამ ბიძგი უნდა მისცეს თანამშრომლობას კვლევის, განვითარების, ინოვაციის სფეროში და უნდა განიხილებოდეს, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის საკვანძო პრიორიტეტი.

თანაკოორდინატორმა ჯგუფის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ევროკავშირის პროგრამის Horizon 2020 შესახებ და ისაუბრა მოლაპარაკებების დაწყების აუცილებლობაზე Horizon 2020-ში საქართველოს ასოცირებული წევრობის შესახებ და ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერის თაობაზე. მისი თქმით კვლევისა და ინოვაციის სფეროში სისტემური ცვლილებების გარეშე მაჩვენებელი არსებითად ვერ გაიზრდება. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში სახელმწიფო დახმარება კვლევისა და ინოვაციის სფეროში სუსტია, სხვა ქვეყნებთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში არიან ბელორუსი და უკრაინა.

ინოვაციური განვითარების ვარიანტები საქართველოში: 1. “არავითარი პოლიტიკა”, 2. მთავრობა ინოვაციური განვითარების აუცილებლობას აღიარებს 3. საინოვაციო პოლიტიკაზე დაფუძნებული განვითარება. საკვანძო რეკომენდაციებია: კვლევა და ინოვაცია უნდა განიხილებოდეს, როგორც აღმოსავლეთის პარტნიორობის საკვანძო პრიორიტეტი, აუცილებელია კვლევისა და ინოვაციის სისტემების რეფორმა, გაძლიერება და მოდერნიზაცია. ყურადღება უნდა მიექცეს სრულ ჯაჭვს კვლევიდან ინოვაციამდე, ასევე საჭიროა კვლევაზე ხარჯების დაკავშირება ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებთან (მათ შორის ევროინტეგრაციის პროცესთან),

ასევე უმნიშვნელოვანესია უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელშეწყობა.

კვლევების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენელმა სამუშაო ჯგუფის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია საერთაშორისო სამეცნიერო/ტექნოლოგიური თანამშრომლობის შესაძლებლობების შესახებ საქართველოში.

ჯგუფის წევრებმა განიხილეს აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში არსებული გამოწვევები, რის შემდეგაც ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ დასრულდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა.

შეხვედრის მდივანი: ნატალია აბრამია